



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
ხელმძღვანელობას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	23
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	25
საკონტაქტო ინფორმაცია	28

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

აპარატი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

„112“ – სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი.

მომსახურების სააგენტო – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

სასაზღვრო პოლიცია – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია.

საპატრულო პოლიცია – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

სპეციფიკური დანიშნულების აქტივები – ანგარიშის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები განხილულია როგორც საბრძოლო მასალა, იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი ტიპის აქტივები.

სსზსს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ჯანმრთელობის დაცვის სამსახური – სსიპ – შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური.

1. რეკომენდაციები

1.1 მოთხოვნა-ვალდებულებების აღრიცხვა და კონტროლი

აუდიტის მიზნება

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

აპარატის მიერ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2003 და 2004 წლებში წარმოქმნილი 140,425 ლარის მოთხოვნები დანაკლისით.¹ აღნიშნული მოთხოვნების მიღების ალბათობა დაბალია.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების მუხლი შეადგენს 19,458,790 ლარს, ხოლო სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლი 3,956,513 ლარს.

ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან აუდიტის პროცესში იდენტიფიცირებულია 3,306,192 ლარის ოდენობით დებიტორული დავალიანებები, რომლებიც 1996-2009 წლამდე პერიოდს უკავშირდება და მათი დაფარვის ალბათობა დაბალია, მაგალითად:

- 1,976,052 ლარის ოდენობის მოთხოვნა ირიცხება ლიკვიდირებული კომპანიების² მიმართ;
- 651,314 ლარის ოდენობის მოთხოვნები³ წარმოშობილია 1999-2009 წლებში და ხანდაზმულია, მათ შორის, რამდენიმე კომპანიის⁴ საიდენტიფიკაციო კოდი არ იძებნება;
- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში 2003 წლიდან ირიცხება მოთხოვნა შსს-ს ცენტრალური აპარატის მიმართ 201,407 ლარის ოდენობით, რომელსაც აპარატი არ ადასტურებს;
- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაცვის პოლიციის დეპარტამენტს სამშენებლო კომპანიის⁵ მიმართ აღიარებული აქვს მოთხოვნა 324,370 ლარის ოდენობით. დაკვეთით შესასრულებელი სამუშაოები კომპანიის მიერ ფაქტობრივად დასრულებულია,⁶ თუმცა არ არის გაფორმებული გაწეული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი. შესაბამისად, მოთხოვნების მუხლი 324,370 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი;
- 153,049 ლარის მოთხოვნა ირიცხება ისეთი კომპანიების⁷ მიმართ, რომლებზეც მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება;

¹ მოთხოვნა შედგება ორი სისხლის სამართლის საქმისგან: 1. სისხლის სამართლის N4103034 საქმეზე (8,973 ლარის ოდენობით) არ არის დადგენილი დამნაშავე პირები. 2. N30704512 სისხლის სამართლის საქმეზე 2011 წელს 6 პირს სასჯელის სახით შეეფარდა პატიმრობა და ფულადი ჯარიმის გადახდა ჯამში 27,000 ლარის ოდენობით.

² შპს „ნიუ ენერჯი“ (ს/კ 205026559); შპს „ენერგო გენერაცია“ (ს/კ 204393307); სს „ლაჯანურ ჰესი“ (ს/კ 242572079); სს „საქრუბროიდი“ (ს/კ 226521163); სს „თბილსრესი“ (ს/კ 226521653).

³ კულტურის სამინისტრო, შპს „კახეთის პური“, შპს „ვაზისი“, შპს „ჩემპიონი 2004“, შპს „ფაიზი“, შპს „ბორჯომის ცენტრალური პარკი“.

⁴ შპს „ბორჯომის ცენტრალური პარკი“, შპს „კახეთის პური“, შპს „ჩემპიონი 2004“.

⁵ შპს „სავანე“, დებიტორული დავალიანება წარმოქმნილია 2003 წელს. სამინისტროს განმარტებით, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შედგენილა, ხოლო აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ექსპერტიზით შეუძლებელია განისაზღვროს შესრულებული სამუშაოების მოცულობების და ღირებულების განსაზღვრა.

⁶ აღნიშნული ფაქტი ასევე დასტურდება დეპარტამენტის 2014 წლის ინვენტარიზაციის აქტით.

⁷ შპს „ომგა“ (ს/კ 2245422608); შპს „რუსთაველი“ (ს/კ 216291956); შპს „ბიოპლუსი“ (ს/კ 445389696).

- დაცვის მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი თანხობრივად შედარებით მცირე დებიტორული დავალიანებები, რომლებიც წარმოშობილია 1996-2014 წლებში და ხანდაზმულია.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორულ დავალიანებად არ არის აღრიცხული ზიანის ანაზღაურების მიზნით, სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად, დეპარტამენტის სასარგებლოდ ორი სუბიექტის მიმართ დაკისრებული 113,499 ლარის მოთხოვნა.

მომსახურების სააგენტოს ბალანსზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია პარტნიორი ქვეყნისგან ძირითადი აქტივების გადმოცემის მიზნით, სააგენტოს მიერ 2016 წელს ავანსის სახით გადახდილი თანხა, რომელიც აღრიცხულია როგორც მოკლევადიანი მოთხოვნა, ნაცვლად გრძელვადიანი მოთხოვნისა.⁸ შედეგად, სამინისტროს მიერ 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი აქტივების“ მუხლი 7,493,615 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი და იმავე თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი „სხვა არაფინანსური აქტივების“ ნაშთი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების მუხლი შეადგენს 7,876,491 ლარს, ხოლო სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლი 4,551,860 ლარს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კონტროლირებული ერთეულის სსიპ – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ბალანსზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული მოთხოვნებიდან:

- 1991-2004 წლებში წარმოქმნილი 5,273,118 ლარის დავალიანების ხანდაზმულობიდან გამომდინარე, მათი ამოღების ალბათობა დაბალია. მათ შორის, ზოგიერთი დებიტორი⁹ ლიკვიდირებულია ან არ იძებნება მოთხოვნის წარმოშობის დოკუმენტაცია;¹⁰
- 510,338 ლარის დებიტორული დავალიანება¹¹ დაკავშირებულია 1996-1999 წლებში გახარჯული მატერიალური რეზერვების შევსებასთან, რისთვისაც არ მომხდარა ბიუჯეტიდან რესურსის გამოყოფა;
- 1994 წელს წარმოშობილია 467,234 ლარის მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მიმართ. დავალიანების დაფარვის საკითხი შესაბამისი უწყებების მიერ დღემდე არ არის გადაწყვეტილი;
- ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საგადასახადო აქტივი 75,049 ლარის ოდენობით, რომელიც არ დასტურდება შემოსავლების სამსახურის საგადასახადო აღრიცხვის ბარათით;

⁸ DFAS-ს წერილის (№ECJ5-GG-19-060) მიხედვით, დავალიანების დაფარვა მოსალოდნელია ანგარიშგების თარიღიდან ორი წლის შემდეგ.

⁹ ლიკვიდირებული დებიტორები ჯამური თანხით - 4,684,374 ლარი: სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა, სს „რუსთავის ქიმიკო“, მეტეხის ნავთობზაზა, „ცეკავშირის“ ქუთაისის საწარმოო კომბინატი.

¹⁰ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ჯამური თანხა -10,058 ლარი.

¹¹ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 ივნისის N371 ბრძანებულება, მუხლი 4, პუნქტი 33-ის მიხედვით წარმოშობილი მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

- 1994 წელს წარმოშობილ 63,925 ლარის ოდენობის დებიტორულ დავალიანებასთან¹² დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ბრალდებულის გარდაცვალების გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 6,389,664 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანებების ამოღების ალბათობა დაბალია.

სასაზღვრო პოლიციის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების მუხლი შეადგენს 1,044,627 ლარს და სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლი 9,315,899 ლარს, საიდანაც:

- სასამართლოს გადაწყვეტილებით,¹³ სასაზღვრო პოლიციას უარი ეთქვა 2007 წელს წარმოშობილი 758,987 ლარის დავალიანების¹⁴ ამოღებასთან დაკავშირებით მოვალის გარდაცვალების გამო;
- სასაზღვრო პოლიციის მიერ 2008 წელს ავანსის სახით ბიუჯეტში გადახდილი 500,000 ლარის მოთხოვნას¹⁵ არ ადასტურებს¹⁶ შემოსავლების სამსახური;
- 134,825 ლარის მოთხოვნების¹⁷ წარმოშობის დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ იძებნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასაზღვრო პოლიციის მიერ 1,393,812 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანებების ამოღების ალბათობა დაბალია.

ასევე სასაზღვრო პოლიციის მიერ ავანსის სახით გადახდილი თანხები ნაცვლად გრძელვადიანი მოთხოვნისა, ასახულია მოკლევადიანი მოთხოვნების მუხლში.¹⁸ შედეგად, ორგანიზაციის ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი აქტივების“ მუხლი 4,850,741 ლარით გაზრდილად არის ნაჩვენები და იმავე თანხით შემცირებულია „სხვა არაფინანსური აქტივების“ ნაშთი.

„112“-ის ბალანსზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 5,978,897 ლარის დებიტორული დავალიანებიდან, სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა დგომის საფასურის გადაუხდელობით წარმოქმნილი 3,693,478 ლარის ოდენობის დავალიანებასთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი დებიტორების დეტალური ნუსხა. შედეგად, ვერ დაერწმუნდით მოთხოვნის ნაშთის არსებობაში, სისწორესა და სისრულეში.¹⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური

¹² საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გორის სასწავლო საწარმო.

¹³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N28/2661-18.

¹⁴ შ.ლ-ს 2010 წელს სასამართლომ დააკისრა 758,987 ლარის გადახდა სასაზღვრო პოლიციის სასარგებლოდ, აღნიშნული პირის გარდაცვალების შემდგომ, სასამართლომ მოვალის ოჯახის წევრები ვალდებულების უფლებამონაცვლედ არ ცნო.

¹⁵ მოთხოვნა წარმოქმნილია 2008 წელს და ორგანიზაციის საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე ავანსის თანხის არსებობა არ დასტურდება.

¹⁶ შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 16 ნოემბრის N21-11/141223 წერილი.

¹⁷ სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N1 სამმართველო, მოთხოვნა წარმოიშვა 2001 წელს ანგარიშვალდებული პირების მიმართ, საკვები პროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებით.

¹⁸ DFAS წერილი №ECJ5-GG-19-060.

¹⁹ აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 9 ივნისს ცვლილება შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის - „112“-ის შესახებ საქართველოს კანონში, ცვლილების მიხედვით დაჯარიმებულს 100 ლარის სანაცვლოდ შეუძლია გაიყვანოს ავტომანქანა სპეციალურად დაცული სადგომიდან.

ანგარიშგების მოთხოვნების მუხლში ასახული 98,213,733 ლარის საბოლოო ნაშთის სისრულეზე, სიზუსტესა და არსებობაზე.

სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს ღონისძიებები მოთხოვნების დეტალური შესწავლის, ანალიზის და მიღებული შედეგების საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირების მიზნით.

აუდიტის მიგნება

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე 2020 წლის 31 დეკემბრის რიცხული 3,258,831 ლარის ოდენობის ვალდებულებებიდან, 3,158,068 ლარის დავალიანება (97%) წარმოშობილია 1996-2005 წლებში, საიდანაც 344,595 ლარის დავალიანების²⁰ წარმოშობის დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ იძებნება.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 2012 წლამდე წარმოშობილი 1,001,529 ლარის დავალიანებიდან²¹ 974,310 ლარი დაკავშირებულია ბუღალტრული აღრიცხვის შეცდომებთან, ხოლო დარჩენილი 27,220 ლარის ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ მოიპოვება.

ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა მკურნალობის ხარჯების დაფარვის მიზნობრივობით გაცემული და აუნაზღაურებელი გარანტიების თაობაზე. აღნიშნულ გარანტიებს აქვთ შეუზღუდავი მოქმედების ვადა²² და, შესაბამისად, სამსახურს შესაძლოა ნებისმიერ საანგარიშო პერიოდში მოუხდეს მათი ანაზღაურება.

ვინაიდან სამსახურში არ არის დანერგილი ფინანსური გარანტიების სააღრიცხვო სისტემა და არ არის შემუშავებული მათი სააღრიცხვო პოლიტიკა, სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „კრედიტორული დავალიანების“ და „მიმდინარე ანარიცხების“ ნაშთები შესაძლოა არ ასახავდეს მათ რეალურ ოდენობას, თუმცა ჩვენ ვერ შევძელით ფინანსურ ანგარიშგებაზე უზუსტობების გავლენის შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებების მუხლში ასახული 40,354,054 ლარის საბოლოო ნაშთის სისრულეზე, სიზუსტესა და არსებობაზე.

სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს ღონისძიებები ვალდებულებების დეტალური შესწავლის, ანალიზის და მიღებული შედეგების საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირების მიზნით.

²⁰ ვალდებულებები დეპონენტების მიმართ, შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N1 სამმართველოს ბალანსზე რიცხული სხვადასხვა დავალიანება.

²¹ გადავადებული მოგების გადასახადი, სოციალური დაზღვევის ანარიცხები, ავანსად მიღებული გაურკვეველი შემოსავლები.

²² ჩვენ მიერ შესწავლილ უმეტეს შემთხვევაში, არ იყო მითითებული კონკრეტული გარანტიის მოქმედების ვადა.

მიზეზი

პირველადი დოკუმენტების არარსებობა; ხანდაზმული დავალიანებების რეალობის დადგენასთან და პირველადი დოკუმენტაციის მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები; დებიტორებთან სათანადო კომუნიკაციის ნაკლებობა; ინვენტარიზაციის არასრულყოფილად ჩატარება და დავალიანებების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა; დებიტორული დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებული დაგვიანებული ქმედებები.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“, „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ და „ვალდებულებების“ მუხლებში არსებული უზუსტობები; ფინანსური დანაკარგების რისკი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია:

- დადგინდეს მოთხოვნა-ვალდებულებების დავალიანებების რეალურობა, შესწავლილ იქნეს ხანდაზმულობის მიზეზები, შეფასდეს დავალიანებების ამოღების და დაფარვის ალბათობა და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- „112“-მა უზრუნველყოს სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა დგომის საფასურის გადაუხდელობით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ანალიზური აღრიცხვა;
- ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა შეიმუშაოს ფინანსური გარანტიების სააღრიცხვო სისტემა.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტრო.

1.2 ინვენტარიზაცია**აუდიტის მიგნება**

სამინისტროს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში 2020 წელს ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები, კერძოდ:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტში 2020 წელს ინვენტარიზაციის პროცესი არ დასრულებულა და საბოლოო შედეგები არ არის დამტკიცებული;
- სასაზღვრო პოლიციაში მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის პროცესი არ დასრულებულა;
- საპატრულო პოლიციაში ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია 2020 წელს არ ჩატარებულა;
- სამინისტროს აპარატსა და მომსახურების სააგენტოში ინვენტარიზაცია სრულყოფილად არ ჩატარებულა.

სამინისტროს განმარტებით, ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებით.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში 2019 წელს დაწყებული ინვენტარიზაციის შედეგების²³ მიხედვით, დაფიქსირებულია არაფინანსური აქტივების დანაკლისი და ზედმეტობა.

- თბილისში არსებული N1 საწყობის ინვენტარიზაციის შედეგების აქტით გამოვლინდა 943,050 ლარის დანაკლისი და 823,844 ლარის ზედმეტობა. ზედმეტობის სახით გამოვლენილი ქონება, შეფასების და შესაბამისი ღირებულებით ბალანსში ასახვის მიზნით, გაგზავნილია სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში;
- ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 15 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ზედმეტობა, ხოლო 74 ერთეული ჩამოსაწერი სატრანსპორტო საშუალება გადაგზავნილია ექსპერტიზაზე;
- სამსახურის მასშტაბით შესაბამისი სამმართველოების ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 1,321,917 ლარის დანაკლისი და 225,924 ლარის ზედმეტობა.

საგულისხმოა, რომ სამსახურმა ინვენტარიზაციის შედეგებზე ინფორმაცია²⁴ მიაწოდა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. ინვენტარიზაციის შედეგები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში ინვენტარიზაციის დასრულების, საბოლოო შედეგების ოქმის მომზადების შემდგომ, ვინაიდან არსებობს ალბათობა, რომ გამოვლენილი აქტივების დანაკლისი იდენტიფიცირებულ იქნეს ობიექტის სხვა საწყობებსა თუ სტრუქტურულ ერთეულებში.

მიზეზი

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ინვენტარიზაციის არასრულყოფილად განხორციელება; ინვენტარიზაციის ჩასატარებლად საკმარისი საკადრო რესურსის არარსებობა; აქტივების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები; აქტივების დაცულობის რისკები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ არაფინანსური აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტრო.

²³ საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი: N15008, 06/02/2019; N257465, 31/01/2020; N452361, 24/02/2021.

²⁴ სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის გაგზავნილი წერილები: N03023858, 09/11/2019 და N01913926, 22/07/2021.

1.3 გამოუყენებელი ქონება

აუდიტის მიზნება

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა ქონებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

სასაზღვრო პოლიციის, დაცვის პოლიციის დეპარტამენტში, საპატრულო პოლიციის, აპარატის და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე, 2020 წლის საწყის და საბოლოო ნაშთად უცვლელად ირიცხებოდა, შესაბამისად, 1,343,209 ლარის, 1,082,574 ლარის, 307,082 ლარის, 55,760 ლარის²⁵ და 72,645 ლარის მატერიალური მარაგები,²⁶ რომელთაგან შემდგომი სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს ღონისძიებები აქტივების შემდგომი ეფექტიანი განკარგვის მიზნით.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ძირითად აქტივად“ ირიცხება შენობა-ნაგებობაზე²⁷ კაპიტალიზირებული 293,139 ლარის საპროექტო სამუშაოები, საიდანაც სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი, ვინაიდან დეპარტამენტი უძრავი ქონებით არ სარგებლობს.

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ძირითადი აქტივად“ ირიცხება 2,685,354 ლარის საბალანსო ღირებულების მცურავი საშუალებები, რომელთა შემდგომი გამოყენება არ არის მოსალოდნელი, ვინაიდან ისინი ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია და მათი ექსპლუატაცია ტექნიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის.²⁸

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 9 ერთეული²⁹ 40,411,641 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივი, რომლებიც ინვენტარიზაციის აქტის³⁰ მიხედვით, ტექნიკურად გაუმართავი და მოძველებულია. შესაბამისად, სასაზღვრო პოლიცია მათ ვერ იყენებს და სახეზეა გაუფასურების ნიშნები. აქტივები, ხანდაზმულობიდან გამომდინარე, საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს. მნიშვნელოვანია, ორგანიზაციამ ხარჯსარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს აქტივების განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.

სასაზღვრო პოლიციაში 2020 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი 2,699,954 ლარის მანქანა-დანადგარები³¹ და 989,593 ლარის შენობა-ნაგებობა,³² საიდანაც სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. სამინისტროს განმარტებით, ორგანიზაციაში დაწყებულია აქტივების ჩამოწერის და შემდგომი განკარგვის ღონისძიებები.

²⁵ სპეციფიკური დანიშნულების აქტივი, რომელიც დაზიანებულია.

²⁶ შეცვლილი დიზაინის გამო ხმარებიდან ამოღებული უნიფორმები, მოძველებული ტექნიკა და სხვ.

²⁷ ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N72 - შენობა გადაეცა სხვა სახელმწიფო უწყებას.

²⁸ აღნიშნულს ადასტურებს ექსპერტიზის დასკვნა N002568320, 06/05/2020 წ.

²⁹ მათ შორის, 3 ერთეული ნულოვანი ღირებულებითაა ასახული.

³⁰ რაც ასახულია ინვენტარიზაციის შედეგებში.

³¹ სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატი - ავტომანქანები.

³² ლაგოდეხი, სანაპირო დაცვა, წითელი ხიდი და ახალციხე - არასაცხოვრებელი შენობები.

მიზეზი

არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად გამოვლინდეს ისეთი აქტივები, რომელთა გამოყენება და მომავალი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება არ არის მოსალოდნელი.

გავლენა

ქონების შემდგომი გამოყენების და სარგებლის მიღების ალბათობა დაბალია, აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილად არის წარდგენილი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ განახორციელოს მომავალი გამოყენებისთვის უსარგებლო აქტივების იდენტიფიცირება და ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარ ქონებასთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტრო.

1.4 ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული ქონება

აუდიტის მიგნება

სპეციფიკური დანიშნულების აქტივების³³ ღირებულების გარეშე აღრიცხვა, ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელი, საერთო ნაკლოვანებაა. **სამინისტროს** 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სპეციფიკური დანიშნულების ძირითადი აქტივების ნაწილი აღრიცხული აქვს მხოლოდ რაოდენობრივად,³⁴ ხოლო ღირებულებით რიცხულ სპეციფიკური დანიშნულების აქტივებს ცვეთა არ ერიცხება იმის გამო, რომ მარეგულირებელი ნორმებით და სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკით ამორტიზაციის კოეფიციენტი არ არის დადგენილი. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელი პრობლემაა.

სამინისტროს სისტემაში, მათ შორის, აპარატის და სასაზღვრო პოლიციის ბალანსებზე ირიცხება სხვადასხვა დასახელების მნიშვნელოვანი ოდენობის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები³⁵ და სათანადარიგო ნაწილები, რომლებიც ნულოვანი ღირებულებით არის ასახული. ასევე **ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის** ბალანსზე სამედიცინო დანიშნულების აქტივები³⁶ ღირებულების გარეშე აღრიცხული.

³³ იარაღი, საბრძოლო მასალა.

³⁴ მაგალითად, სასაზღვრო პოლიციის ცენტრალურ აპარატს ერიცხება 762 ერთეული სპეციფიკური დანიშნულების აქტივი.

³⁵ აპარატს აქტივები აღრიცხული აქვს საცნობარო მუხლებში ღირებულების გარეშე. გახარჯული მარაგების შესახებ ინფორმაცია ბუღალტერიას მიეწოდება მათი დასახელების და რაოდენობის მითითებით.

³⁶ 445 149 ცალი მრავალჯერადი მარლის პირბადე, 16 900 ცალი პირბადე.

აპარატში 2018 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი შენობა-ნაგებობები³⁷ და მიწა,³⁸ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება ნულოვანი ღირებულებით. სამინისტროს განმარტებით, ქონების შეფასების სამუშაოები მიმდინარეობს ეტაპობრივად და დიდი მოცულობის გამო, პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს. 2021 წელს დაწყებულია ღონისძიებები ქონების შეფასების მიზნით.³⁹

სასაზღვრო პოლიციის მიერ ღირებულების გარეშე არის აღრიცხული 8 ერთეული ძირითადი აქტივი და მათ სარგებლობაში არსებული მიწის⁴⁰ ნაკვეთები.

მიზეზი

აქტივების სიმრავლე და შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები, არასაკმარისი ფინანსური რესურსები.

გავლენა

სამინისტროს ბალანსზე მატერიალური მარაგების და ძირითადი აქტივების ნაშთი შემცირებულად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს რაოდენობრივად აღრიცხული სხვადასხვა სპეციფიკური აქტივის ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმები, ცვეთის დარიცხვის პოლიტიკა და აქტივები შესაბამისი ღირებულებით აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტრო.

1.5 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება

საპატრულო პოლიციის და **აპარატის** მიერ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე 2,568,871 ლარის არამატერიალური აქტივები⁴¹ არ არის შემოწმებული გაუფასურებაზე,⁴² რის გამოც შესაძლოა არასწორად იყოს წარმოდგენილი არამატერიალური აქტივების რეალური საბალანსო ღირებულება.

„112“-ში არ არის შემუშავებული შიდა წარმოების არამატერიალურ აქტივებზე ხარჯების კაპიტალიზების სააღრიცხვო პოლიტიკა.⁴³ სხვადასხვა დასახელების

³⁷ სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსებული 236 დასახელების ობიექტი.

³⁸ ორი ერთეული, ჯამური ფართობი - 10,404 კვ.მ.

³⁹ შსს-ს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის 2021 წლის 9 მარტის წერილი № MIA 0 21 00 559328.

⁴⁰ ჯამში: 606,516 კვ.მ.

⁴¹ საპატრულო პოლიციისთვის განკუთვნილი 1,263,200 ლარის სამხრე კამერების პროგრამული უზრუნველყოფა. აპარატის ბალანსზე რიცხული 1,305,671 ლარის ვიდეორგოლები.

⁴² სსპსს 21, პუნქტი 26^ბ.

⁴³ სამინისტროს მიერ 2021 წელს დაწყებულია ღონისძიებები სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების მიზნით. ეკონომიკური დეპარტამენტის

პროგრამულ უზრუნველყოფებს „112“ იყენებს საკუთარი მიზნების და ფუნქციების შესასრულებლად, თუმცა აქტივები არ არის შეფასებული და ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიზეზი

შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები, საადრიცხო პოლიტიკის არარსებობა.

გავლენა

სამინისტროს ბალანსზე არამატერიალური აქტივების ნაშთი არ ასახავს მათ რეალურ ღირებულებას.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტრომ განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ყოველწლიურად შეამოწმოს გაუფასურებაზე და შეიმუშაოს შიდა წარმოების არამატერიალურ აქტივებზე ხარჯების კაპიტალიზების საადრიცხო პოლიტიკა.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

აპარატი, საპატრულო პოლიცია, „112“.

1.6 ჯარიმების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს მხოლოდ მიმწოდებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად წარმოშობილი 5,739,629 ლარის შემოსავალი, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, გამოწერილი ჯარიმები არ არის ასახული.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახული 5,739,629 ლარის შემოსავლების სიზუსტეზე.

მიზეზი

არ არის შემუშავებული ჯარიმების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებული საადრიცხო პოლიტიკა.

გავლენა

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლები შესაძლოა არ ასახავდეს მათ რეალურ ოდენობას.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშაოს ჯარიმების საადრიცხო პოლიტიკა.

1.7 სააღრიცხვო სისტემის ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება

სასაზღვრო პოლიციაში მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები აღრიცხულია საწყობის მართვის ელექტრონულ სისტემაში, ხოლო ბუღალტრულად ანალიზური აღრიცხვა სპეციალიზებული აღრიცხვის სისტემის ნაცვლად, წარმოებს Microsoft Excel-ის გამოყენებით, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასა და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2020 წლის ბუღალტრული ინფორმაცია ნაცვლად „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ანგარიშთა გეგმისა, მომზადებულია ძალადაკარგული ინსტრუქციის⁴⁴ მიხედვით. აღსანიშნავია, რომ 2021 წლიდან აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია.

ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სისტემაში ფუნქციონირებს პოლიკლინიკა (სამმართველო), რომლის ფუნქციაა მოსამსახურეთა სამედიცინო და სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა. პოლიკლინიკის კაბინეტების სამკურნალო საშუალებებით, სახარჯი და ლაბორატორიული მასალებით, აგრეთვე ცალკეული სამედიცინო ქონებით უზრუნველყოფა, მოთხოვნის შესაბამისად, ხორციელდება სამსახურის სისტემაში შემავალი აფთიაქის მიერ.

პოლიკლინიკაში არსებული სამედიცინო კაბინეტების ექიმების მიერ სამკურნალო საშუალებების მოთხოვნა წარმოებს მატერიალური ფორმის „ჟურნალის“ მეშვეობით, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასთან და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს. სამსახურს არა აქვს შემუშავებული მატერიალური მარაგების აფთიაქიდან სამედიცინო კაბინეტზე გადაცემის სააღრიცხვო პოლიტიკა და მატერიალური მარაგები აფთიაქიდან გაცემისთანავე ჩამოიწერება ხარჯებში. შედეგად, იზრდება აღსარიცხავი ინფორმაციის სისრულესა და სისწორესთან დაკავშირებული რისკები. სამინისტროს განმარტებით, მიმდინარე პერიოდში დაწყებულია შესაბამისი ღონისძიებები ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

მიზეზი

სააღრიცხვო სისტემაში არსებული ნაკლოვანებები.

გავლენა

იზრდება აღსარიცხავი ინფორმაციის სისრულესთან, სისწორესთან და ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული რისკები.

⁴⁴ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სრულყოფის მიზნით:

- სასაზღვრო პოლიციამ მატერიალური მარაგების ანალიზური აღრიცხვა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფით;
- ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს, რომ სამედიცინო კაბინეტების ექიმების მიერ სამკურნალო საშუალებების მოთხოვნის რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით და შეიმუშაოს მარაგების ავთიაქიდან სამედიცინო კაბინეტზე გადაცემის სააღრიცხვო პოლიტიკა.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სასაზღვრო პოლიცია, ჯანმრთელობის დაცვის სამსახური.

1.8 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების სასამართლო დავების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.⁴⁵

მიზეზი

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილნი მნიშვნელოვანი ინფორმაციით.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.⁴⁶

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტრო.

⁴⁵ სსპასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

⁴⁶ სსპასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

1.9 სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

სასაზღვრო პოლიციაში არ არის ჩამოყალიბებული მატერიალური მარაგების ჩამოწერასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ახორციელებს კონტროლს გახარჯულ და ფაქტობრივად არსებულ ნაშთებზე, მატერიალური მარაგები საწყობიდან გასვლისას ჩამოიწერება პირდაპირ ხარჯებში და არ ხდება მათი აღრიცხვა ანგარიშვალდებულ პირზე ან მარაგების სახით. მაგალითად, სანაპირო დაცვის დეპარტამენტში საწვავის ჩამოწერა ხორციელდება მათი მცურავი საშუალებებისთვის მიწოდებისთანავე, მაშინ როდესაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 238,770 ლარის გაუხარჯავი საწვავი განთავსებული იყო მცურავი საშუალებების ავზში.

სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N3 და N5 სამმართველოების მიერ საკვები პროდუქტები ხარჯებში ჩამოიწერებოდა საწყობიდან სექტორზე გადაცემისთანავე და არა ფაქტობრივი მოხმარების მიხედვით, რის გამოც „მატერიალური მარაგების“ მუხლზე არ არის ასახული სექტორებში 2020 წლის ბოლოს ფაქტობრივად არსებული 186,526 ლარის საკვები პროდუქტები.⁴⁷

დაცვის პოლიციის დეპარტამენტს არ აქვს შემუშავებული ობიექტების დაცვის განხორციელების მიზნით დამკვეთებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემისთვის განკუთვნილი მოწყობილობების სააღრიცხვო პოლიტიკა.

2020 წელს დეპარტამენტის მიერ დროებით გადაცემული 969,116 ლარის ტექნიკა გაცემისთანავე ჩამოიწერა ხარჯებში⁴⁸ მუხლზე – „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“, რომელზეც აისახება გაყიდული მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება, ხოლო დამკვეთების მიერ უკან დაბრუნებული 400,571 ლარის აქტივები ნაცვლად შემოსავლებისა, ასახულია როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯების შემცირება. აღნიშნულ ოპერაციებთან დაკავშირებით სააღრიცხვო პრინციპების და წესების შემუშავება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სწორად აღსაქმელად.

სამინისტროს მიერ 2021 წელს დაწყებულია ღონისძიებები⁴⁹ სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

მიზეზი

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

გავლენა

სააღრიცხვო პრინციპების და წესების შემუშავება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სწორად აღსაქმელად.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროში შემავალმა საბალანსო ერთეულებმა სამინისტროსთან კოორდინაციით შეიმუშაონ და დანერგონ

⁴⁷ N3 სამმართველოს მარაგების 2020 წლის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 72,972 ლარით; N5 სამმართველოს 2020 წლის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 113,555 ლარით.

⁴⁸ ჩამოწერილი მარაგები ასახულია საცნობარო მუხლში „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“, თუმცა ასეთი მატერიალური მარაგების აღრიცხვა ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკით არ იყო განსაზღვრული.

⁴⁹ ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის 2021 წლის 23 თებერვლის წერილი №MIA 4 21 00437417 - სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან, ინფორმაციის გამოტოვებასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას, ასევე განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტრო.

1.10 სტრატეგიული მარაგები

აუდიტის მიგნება

მოქმედი კანონმდებლობით,⁵⁰ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო რეზერვის სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

სახელმწიფო რეზერვის სისტემის მართვა, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ კომპეტენციას. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნასთან, შენახვასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებს ახორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სამსახურში არ არის განსაზღვრული მატერიალური ფასეულობების ნომენკლატურა და მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკა. სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს მუშაობა მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკის შესამუშავებლად.

გავლენა

მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეზერვების შევსება მნიშვნელოვანია საქართველოს სამოხილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

რეკომენდაცია

საქართველოს სამოხილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეიმუშაოს სახელმწიფო რეზერვის სისტემისთვის აუცილებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხა და მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკა.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

⁵⁰ საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ“.

1.11 ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ გაწეული სამედიცინო ხარჯები

აუდიტის მიზნება

ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სამედიცინო ხარჯების“ მუხლი შეადგენს 5,982,087 ლარს. სამსახურში არ არის დამტკიცებული მოსამსახურის მკურნალობის დაფინანსებასთან დაკავშირებული პროცედურების და წესების ფორმალური დოკუმენტი, რომლის შემუშავება მნიშვნელოვანია სამედიცინო ხარჯების ეფექტიანად მართვის მიზნით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია⁵¹ საკუთარ თანამშრომელს⁵² დაუფინანსოს სამედიცინო უზრუნველყოფა⁵³ წლის განმავლობაში არაუმეტეს 10,000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ ლიმიტს ზემოთ სამედიცინო უზრუნველყოფის დაფინანსება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობის დაზიანება მიღებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება დაფინანსების შესახებ მიიღება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით⁵⁴ დამტკიცებული კომისიის⁵⁵ მიერ, თუმცა მკურნალობის დაფინანსების გაცემისას ბრძანებაში გაწერილი პროცედურული ნაწილის აღსრულება რთულდება, ვინაიდან დაშვებული თანამშრომლის მკურნალობისას გადაწყვეტია სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენა, ხოლო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოითხოვს გარკვეულ დროს.

მიზნები

სამედიცინო ხარჯების პროცესში არსებული კონტროლის სისუსტეები.

რეკომენდაცია

სამედიცინო ხარჯების კონტროლის სრულყოფის მიზნით, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა შეიმუშაოს:

- სამედიცინო დახმარების მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით საჭირო პროცედურები და წესები;
- 10,000 ლარს ზემოთ სამედიცინო დახმარებებთან დაკავშირებით, სამინისტროსთან ერთად იმსჯელოს კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის და ხარჯების ანაზღაურების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვის თაობაზე.

კომპონენტები, რომლებზეც

ჯანმრთელობის დაცვის სამსახური.

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

⁵¹ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის N103 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი N2.

⁵² ან თანამშრომლის ოჯახის წევრს.

⁵³ მკურნალობის მომსახურების და მედიკამენტების ანაზღაურება - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N997 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

⁵⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 ივლისის N395 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამედიცინო დახმარების საკითხების შემსწავლელი კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.

⁵⁵ სამედიცინო დახმარების საკითხების შემსწავლელი კომისია.

1.12 ვალდებულებები

აუდიტის მიგნება	აპარტის ბალანსზე ირიცხება 2017 წელს წარმოქმნილი 8,818,982 ლარის დავალიანება, რომელიც დაკავშირებულია ფინანსთა სამინისტროს სსიპ – საფინანსო ანალიტიკური სამსახურისგან Microsoft ლიცენზიების შესყიდვასთან. ვალდებულების დაფარვა ვერ განხორციელდა, ვინაიდან ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებები გათვალისწინებული არ ყოფილა. „112“-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე ირიცხება 2,602,215 ლარის (მათ შორის, საურავი შეადგენს 507,752 ლარს) საგადასახადო დავალიანება, რაც გამოწვეულია მათი დაფარვისთვის საკმარისი ფინანსური რესურსების არარსებობით.⁵⁶ 2020 წელს „112“-მა ფინანსთა სამინისტროს მიმართა⁵⁷ დავალიანების ჩამოწერის მიზნით, თუმცა მათი შემცირება არ განხორციელდა.
მიზეზი	ვალდებულებების დაფარვისთვის არასაკმარისი ფინანსური რესურსები.
გავლენა	სამინისტროს ბალანსზე ირიცხება ვალდებულებები, რომელთა დაფარვა ვერ განხორციელდა.
რეკომენდაცია	ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად იმსჯელოს მათი დაფარვისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტრო.

1.13 სოციალური დახმარება

აუდიტის მიგნება	2020 წლის დეკემბერში სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გაცემული⁵⁸ ერთჯერადი სოციალური დახმარებები არ არის საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული ბრძანების საფუძველი და დახმარების გაცემის მოტივი. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა მიწოდებული მტკიცებულებები თანამშრომელთა მიერ ხელმძღვანელობისთვის დახმარების თხოვნით მიმართვის თაობაზე.
გავლენა	„სოციალური დახმარების“ მუხლით გაწეული ხარჯები ზოგიერთ შემთხვევაში არ არის საკმარისად დასაბუთებული.

⁵⁶ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა ყოველი კვარტლის ბოლოს კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლების 10% უნდა მიმართონ სახელმწიფო ბიუჯეტში. საგულისხმოა, რომ აღნიშნული გადასახდელების დაფარვის მიზნით, 2020 წელს „112“-ს 3,000,000 ლარის მიმდინარე გრანტი მიღებული აქვს სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოსგან.

⁵⁷ „112“-ის დირექტორის წერილი № MIA 2 20 00596636, 06.03.2020.

⁵⁸ სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფში 4,626 თანამშრომელზე გაიცა 1,284,035 ლარის სოციალური დახმარება.

რეკომენდაცია

სოციალური დახმარების თანხების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სამინისტრომ უზრუნველყოს ერთჯერადი დახმარებების გაცემა შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტრო.

1.14 საწვავის ხარჯები

აუდიტის მიგნება

საწვავის ხარჯებთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიტიკური პროცედურების შედეგად, გამოვლინდა როგორც ერთჯერადად, ასევე დროის მცირე მონაკვეთებში ავტომატური ავზის მოცულობასთან შედარებით მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის ფაქტები,⁵⁹ რაც ზრდის საწვავის არამიზნობრივად გამოყენების რისკებს.

აღსანიშნავია რომ სამინისტრომ აღნიშნული ფაქტის შესახებ 2021 წელს აცნობა⁶⁰ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

მიზეზი

სამინისტროში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები.

გავლენა

იზრდება საწვავის არამიზნობრივად გამოყენების რისკები.

რეკომენდაცია

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად განკარგვის მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს საწვავის არამიზნობრივად გამოყენების პრევენციას და დროულად გამოვლენას. გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით გამოიკვლიონ მიზეზები და იმოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტრო.

1.15 შრომის ანაზღაურება

აუდიტის მიგნება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების⁶¹ მიხედვით, სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საფინანსო დანაყოფებმა ყოველი თვის 5 რიცხვში საკადრო დანაყოფებს უნდა წარუდგინონ წინა თვეში გაცემული ხელფასის რეესტრი. აღნიშნული კონტროლის მექანიზმის მიზანია, მოხდეს შესაძლო ზედმეტად გაცემული ხელფასების იდენტიფიცირება. შესაბამისად, მისი შეუსრულებლობით იზრდება შრომის ანაზღაურების ზედმეტად გაცემასთან დაკავშირებული რისკი.

⁵⁹ აუდიტორული პროცედურების შედეგად, არამიზნობრივად ხარჯვის რისკი გამოვლენილია 17,813 ლიტრ საწვავთან დაკავშირებით.

⁶⁰ 2021 წლის 23 სექტემბრის წერილი №MIA 1 21 02520491.

⁶¹ 2011 წლის 15 ივლისის N609 ბრძანება.

აუდიტის მიგნება

2020 წელს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ბრძანების მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული.⁶² სამინისტროს განმარტებით, 2021 წლიდან აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია.

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,⁶³ საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს, ხოლო სახელფასო დანამატის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 20%-ს.

ამასთანავე, აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე,⁶⁴ როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირის მიერ დამატებითი ანაზღაურების მისაღებად დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები (მათ შორის, ნამსახურები წლები) და დანამატის ოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტით ან/და „საიდუმლო“ გრიფის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.⁶⁵

დაცვის პოლიციის დეპარტამენტში, რამდენიმე შემთხვევაში ზემოაღნიშნული ზღვრები დაცული არ არის.⁶⁶

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ნაკლოვანება არ არის მატერიალურად არსებითი და სისტემური ხასიათის, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში შესაბამისი კონტროლის გარემოს შენარჩუნება და დადგენილი ზღვრების მონიტორინგი. სამინისტროს განმარტებით, პროგრამულ უზრუნველყოფას დაემატა ახალი მოდული, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისთვის განსაზღვრული ზღვრების კონტროლს.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, აუდიტის მიმდინარეობისას, თანამშრომლების მიერ დაბრუნებულია მათზე ზედმეტად გაცემული თანხების უმეტესი ნაწილი.

⁶² საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში კადრების სამმართველოსგან დასაქმებულ თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია საფინანსო სამმართველოს ეგზავნება ხელფასის გაცემამდე, ხოლო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტისათვის სახელფასო რეესტრი 2020 წელს არ გაუგზავნია.

⁶³ მუხლი 28.

⁶⁴ მუხლი 1, პუნქტი 5, „ა“ ქვეპუნქტი.

⁶⁵ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირისთვის სახელფასო დანამატი შეიძლება დამატებით გაიცეს ამ კანონის 28-ე მუხლით დადგენილი ფულადი ჯილდოს ზღვრული ოდენობის ფარგლებში, იმ პირობით, რომ შესაბამისი პირის მიერ მიღებული სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო ჯამურად ამ კანონის 26-ე და 28-ე მუხლებით დადგენილ ზღვრულ ოდენობას არ გადააჭარბებს.

⁶⁶ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 11 თანამშრომელზე გაცემულმა პრემიამ 3,128 ლარით გადააჭარბა დადგენილ ზღვარს, ხოლო 10 თანამშრომელზე (რომლებიც არ წარმოადგენდნენ სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირებს) გაცემულმა სახელფასო დანამატმა ჯამურად 21,748 ლარით გადააჭარბა დადგენილ ზღვარს.

აუდიტის მიგნება

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,⁶⁷ სახელფასო დანამატი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის განსაზღვრულ თანხას.

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ ზოგიერთ თანამშრომელს, 2020 წლის 1 იანვრიდან, წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით, დაენიშნა ყოველთვიური დანამატი.⁶⁸ ზეგანაკვეთური სამუშაო რეჟიმი დამახასიათებელია⁶⁹ სამინისტროს სისტემისთვის, თუმცა დანამატის გაცემა არ იყო სათანადოდ დასაბუთებული.

აუდიტის მიგნება

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,⁷⁰ ფულადი ჯილდო წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის (გარდა მოხელისა) მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით და სანიშნოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის ან/და, მის მიერ განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის გათვალისწინებული წახალისების საშუალება.

2020 წლის მარტსა და დეკემბერში სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გაცემული ფულადი ჯილდო⁷¹ არ არის საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული ბრძანების საფუძველი და ფულადი ჯილდოს გაცემის მოტივი.

მიზეზი

შრომის ანაზღაურების პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმების სისუსტეები.

გავლენა

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯები არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

რეკომენდაცია

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გასაცემი თანხების სიზუსტის, გამჭვირვალობისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად:

- სამინისტრომ შეიმუშაოს ფულადი ჯილდოს და დანამატების ზღვრების კონტროლის მექანიზმები;
- ზეგანაკვეთური და დამატებითი ფუნქციების შესრულების მოტივით გასაცემი დანამატების დასაბუთების წესი. დანამატების და ფულადი ჯილდოს გაცემა უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაოს შესრულების შემდგომ სათანადო დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე;

⁶⁷ მუხლი 2, პუნქტი 2, „დ“ ქვეპუნქტი.

⁶⁸ თანხამ წლის მანძილზე 7,705,059 ლარი შეადგინა და ნაწილდება სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის 2,742 თანამშრომელზე.

⁶⁹ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 52.

⁷⁰ მუხლი 2, პუნქტი 2, „გ“ ქვეპუნქტი.

⁷¹ 2020 წლის მარტში 3,893 თანამშრომელზე გაცემულია 506,740 ლარის ფულადი ჯილდო, ხოლო დეკემბერში, 18,332 ერთეულზე - 7,533,550 ლარი.

- საპატრულო პოლიციამ და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საფინანსო დანაყოფებმა ყოველთვიურად წარუდგინონ შესაბამის საკადრო დანაყოფებს წინა თვეში გაცემული ხელფასის რეესტრი.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტრო.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია

აუდიტის მიგნება	სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ელიმინირებული დაცვის პოლიციის დეპარტამენტს და სამინისტროს სხვა დაქვემდებარებულ უწყებებს შორის 2020 წელს განხორციელებული 407,783 ლარის ოპერაციები. ⁷² შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები 407,783 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამინისტრო.

2.2 შეცდომების გასწორება

აუდიტის მიგნება	აპარატის მიერ 2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში წინა პერიოდის შეცდომის გასწორება ჯამურად – 4,683,705 ლარის ოდენობით, ნაცვლად „წინა პერიოდის შეცდომების კორექტირებისა“, ასახულია მიმდინარე პერიოდის შემოსავლებად/ხარჯებად. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი 954,099 ლარით ⁷³ და ხარჯების მუხლი – 3,729,606 ლარით ⁷⁴ გაზრდილად არის წარმოდგენილი, ხოლო კონსოლიდირებულ კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებაში, მუხლი „წმინდა აქტივების გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი“ 2,775,507 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. აღნიშნული უზუსტობა არ ახდენს გავლენას წმინდა აქტივების 2020 წლის საბოლოო ნაშთზე.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	აპარატი.

2.3 სახელფასო ვალდებულებები

აუდიტის მიგნება	აპარატის ბალანსზე რიცხული 2005 წლამდე წარმოშობილი 8,679,307 ლარის დავალიანება, ასევე თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული 1998 - 2005 წლებში წარმოქმნილი 1,460,544 ლარის დავალიანება წარმოადგენს გაუცემელ სახელფასო დავალიანებებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადებს.
	სამინისტროს არ გააჩნია სახელფასო დავალიანების დაფარვის სამართლებრივი ვალდებულება, აღნიშნული დავალიანებები მაღალი ალბათობით ხანდაზმულია და არ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს. ⁷⁵

⁷² დაცვის მომსახურება.

⁷³ 2011 წელს ხელშეკრულების პირობების დარღვევით წარმოქმნილი ჯარიმის აღრიცხვა.

⁷⁴ შეიარაღების სამმართველოს წერილის თანახმად, წინა პერიოდში გახარჯული სპეციფიკური დანიშნულების მარაგების ნაშთის კორექტირება.

⁷⁵ 2017 წლის 1 ივლისს გაუქმდა 1997 წელს დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, სადაც განსზღვრული იყო 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის გაცემა, ხოლო ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მსგავს ჩანაწერს აღარ ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ ვალდებულებას აღიარებს კონსტრუქციულ მოვალეობად,⁷⁶ რაც არ არის გამჟღავნებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. შესაბამისად, ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი მნიშვნელოვანი ინფორმაციით.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტრო.

2.4 ქონების შეფასება

აუდიტის მიგნება

აპარატმა 2020 წელს განახორციელა მის მფლობელობაში არსებული სხვადასხვა შენობის და მიწის გადაფასება, რის შედეგადაც აქტივების ღირებულება გაიზარდა 147,267,488 ლარით. **სასაზღვრო პოლიციამ** 2020 წელს განახორციელა მის მფლობელობაში არსებული სხვადასხვა შენობის გადაფასება, რის შედეგადაც აქტივების ღირებულება გაიზარდა 6,487,024 ლარით.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია აქტივების გადაფასების თარიღისა და გადაფასებული ღირებულების შესახებ, რომლის წარდგენაც ფინანსური აღრიცხვის ინსტრუქციის⁷⁷ მიხედვით, საჭიროა ძირითადი აქტივების რეალური ღირებულების ერთჯერადი განსაზღვრის შემთხვევაში.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

აპარატი; სასაზღვრო პოლიცია.

⁷⁶ სსპასს 19 (მუხლი 18).

⁷⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსპასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“. მუხლი 10, პუნქტი 26 (2020 წელს მოქმედი რედაქცია).

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით: • სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები და უზრუნველყონ არაფინანსური აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება, მოთხოვნა-ვალდებულებების რეალურობის შესწავლა და მათზე კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება; • საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ინვენტარიზაციის შედეგები ასახოს შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო დანაკლისად რიცხულ აქტივებზე ინვენტარიზაციის მასალები მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყოს კონტროლი მომავალი გამოყენებისთვის უსარგებლო აქტივების გამოვლენაზე, უზრუნველყოს ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერა, ხოლო ექსპლუატაციისთვის ვარგის ქონებასთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს რაოდენობრივად აღრიცხული სხვადასხვა სპეცტექნიკისა და საბრძოლო მასალის ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმები და აქტივები შესაბამისი ღირებულებით აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს მის ბალანსზე რიცხული ისეთი ქონების ცვეთის ნორმების პროექტი, რომელთა მიმართ შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია ცვეთის ერთგვაროვანი ნორმების გამოყენება.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი მიმდინარე.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სრულყოფის მიზნით:

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა აღმოფხვრას აღრიცხვის მონაცემებში არსებული უზუსტობები და ბუღალტრული ინფორმაცია შესაბამისობაში მოიყვანოს აღრიცხვის ინსტრუქციასთან;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა დაწეროს საწყობის სპეციალიზებული პროგრამა;
- სასაზღვრო პოლიციამ მატერიალური მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ანალიზური აღრიცხვა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფით.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია

საქართველოს სამოხილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტომ შეიმუშაოს სახელმწიფო რეზერვის სისტემისთვის აუცილებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხა და მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკა.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი მიმდინარე.

რეკომენდაცია

სახელმწიფო ქონების ეფექტიანი განკარგვის მიზნით მნიშვნელოვანია:

- სასაზღვრო პოლიციამ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოს ძირითადი აქტივების გამოყენებისგან მისაღები სარგებლის საუკეთესო ალტერნატივების შეფასება;
- მომსახურების სააგენტომ დროულად გადაჭრას საგამოცდო დანიშნულების ავტომანქანების ექსპლუატაციაში შეყვანასთან დაკავშირებული საკითხები, მიღებული შედეგების მიხედვით, უზრუნველყოს ძირითადი აქტივების გამოყენებისგან მისაღები სარგებლის საუკეთესო ალტერნატივების შეფასება.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი მიმდინარე.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს საწვავის და მატერიალური მარაგების ხარჯად აღიარების და მარაგების დროებით სარგებლობაში გადაცემის სააღრიცხვო პოლიტიკა.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი მიმდინარე.

რეკომენდაცია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, შრომის ანაზღაურების მუხლით გასაცემი თანხების ზღვრების მონიტორინგის მიზნით სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვა.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი მიმდინარე.

რეკომენდაცია დანამატის მუხლით გაცემული თანხების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს:

- ზეგანაკვეთური და დამატებითი ფუნქციების შესრულების მოტივით გასაცემი დანამატების დასაბუთების წესი;
- დანამატების გაცემა უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაოს შესრულების შემდგომ.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი მოლოდინის რეჟიმში.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელ პირი	ვახტანგ პერტაია ელმისამართი: vpertaia@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE